

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსის

ბრძანება N ---

ქ.თბილისი -----2025 წ.

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე  
გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესის შესახებ**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის  
შესაბამისად, ვბრძანებ:

### **მუხლი 1**

დამტკიცდეს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების  
ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების  
წესი“, დანართი №1 შესაბამისად;

### **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა

და აუდიტის ზედამხედველობის

სამსახურის უფროსი

დავით მჭედლიძე

## დანართი №1

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესი.

### მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის (შემდგომ - მიმოხილვა) განხორციელების წესს, რისკის მართვის, მიმოხილვისა და სამართალდარღვევის იდენტიფიცირების მიზნებისთვის ადმინისტრაციული წარმოების წარმართვის და შეუსაბამობების გამოვლენის პროცედურებს.

2. მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილი არააუდიტირებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგების მიმართ, სამსახური არ განხორციელებს ამ წესით გათვალისწინებული პროცედურებით, სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვას.

### მუხლი 2. წესის მიზანი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის წესის მიზანია:

ა) საწარმოს მიერ გამოყენებული ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული პროცედურების კანონით განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სამართლებრივი პროცედურის დადგენა;

ბ) მიმოხილვის შედეგად ანგარიშგების ხარისხის ზრდისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ამაღლების ხელშეწყობა და სამართალდარღვევათა პრევენცია;

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვა - მიმოხილველის მიერ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის ანალიზი, რომელიც ემსახურება ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო გარემოებების გამოვლენასა და სამართალდარღვევის იდენტიფიცირებას;

ბ) **მიმოხილველი** - პირი, რომელიც ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნებისთვის, ანგარიშგების მიმოხილვის პროცესს;

გ) **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომ - სტანდარტები)** - კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული, სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs);

დ) **არსებითი** - განიმარტება სტანდარტების შესაბამისად.

2. ამ წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### **მუხლი 4. მიმოხილვას დაქვემდებარებული ანგარიშგებები და მიმოხილვის საფუძველები**

1. მიმოხილვას ექვემდებარება სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი სდპ, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის (აუდიტირებული ანგარიშგების არსებობის შემთხვევაში) საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილი ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგება, რომელიც გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

2. სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ანგარიშგება შესაძლებელია სამსახურის მიერ მიმოხილული იქნეს რისკების მართვის სისტემაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ყოველწლიურად.

3. მიმოხილვა ტარდება, როგორც სამსახურის ინიციატივით, ასევე, მიმოხილვა შესაძლოა ჩატარდეს სუბიექტისა და დაინტერესებული მხარე დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

4. მიმდინარე წლის მიზნებისთვის, სამსახურის ინიციატივით ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვას ექვემდებარება, მიმოხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე წარდგენილი და გასაჯაროვებული, უახლესი საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება.

5. სამსახური უფლებამოსილია მიმოხილვას დაუქვემდებაროს უკვე მიმოხილული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის მიერ კორექტირებული ანგარიშგება, განახლებული დოკუმენტის შეფასებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გამოსავლენად - რამდენად ეფექტური ღონისძიებები იქნა განხორციელებული ანგარიშგების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

6. რისკების მართვის სისტემის წარმოების მეთოდოლოგია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

7. მიმდინარე წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებაში მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი არსებითი შეუსაბამობები სუბიექტის მიერ გამოსწორებას ექვემდებარება იმავე საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებაში. მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი არაარსებითი შეუსაბამობები სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე მოსამზადებელ ანგარიშგებებთან მიმართებით.

### **მუხლი 5. მიმოხილვა სამსახურის ინიციატივით**

1. სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მიმოხილვის განხორციელება დაიწყოს რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოებების ან/და სამსახურისთვის წარდგენილი განცხადების/საჩივრის არსებობისას.

2. სამსახური რისკების მართვისათვის იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ბაზარზე ან/და სექტორში დიდი წილის მქონე სუბიექტები, რომელთა ფუნქციონირებაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე;

ბ) ანგარიშგებები, რომელთა აუდიტორული მომსახურების განხორციელებამდე ან მის შემდეგ, აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შეუწყდა/შეეზღუდა უფლებამოსილება (შესაბამის კატეგორიის საწარმოებთან მიმართებაში) ან/და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს გავლილი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ან/და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა სამსახურის ხედვით არ შეესაბამება სუბიექტის სიდიდეს და კომპლექსურობას.

გ) აუდიტორის მოსაზრების ტიპი;

დ) განმარტებითი შენიშვნების თვალსაჩინო სიმწირე;

ე) ანგარიშგების წარდგენა კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევით;

ვ) სხვადასხვა პერიოდზე მომზადებულ ანგარიშგებებს შორის შეუსაბამობები;

ზ) სექტორული შერჩევა რისკისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;

თ) უკვე მიმოხილული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის მიერ მომზადებული მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენა;

ი) მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილი ინდივიდუალური/კონსოლიდირებული აუდიტირებული ანგარიშგება.

3. სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს „ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები და მიმოხილვის პრიორიტეტების შესახებ“ ანგარიშგების

ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს. აღნიშნული დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს სუბიექტების (მათ შორის, საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების, რეგისტრირებული პარტნიორებისა და დამფუძნებლების) შესახებ იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ინფორმაციას.

4. სამსახური უფლებამოსილია მიმოხილვის პროცესში ჩართოს შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილი მოწვეული სპეციალისტები, მათ შორის სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ან სხვა სახელმწიფო უწყების სპეციალისტები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალისტს არ აქვს უფლება აწარმოოს მიმოხილვის პროცესი, თუ მიმოხილვის პროცესში გამოვლინდა მასსა და სუბიექტს, ან/და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს შორის არსებული კავშირი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიმოხილვის შედეგებზე.

### **მუხლი 6. მიმოხილვის ფარგლები**

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა შესაძლოა განხორციელდეს ანგარიშგების თემატური მიმოხილვის ან სრული ანგარიშგების მიმოხილვის გზით.

2 სრული ანგარიშგების მიმოხილვის შემთხვევაში, სამსახური განიხილავს ანგარიშგებაში არსებულ კომპონენტებს და ანგარიშგებას ამოწმებს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

3. თემატური მიმოხილვის შემთხვევაში, შემოწმებას ექვემდებარება ანგარიშგების ცალკეული ელემენტები, რომლებიც შეირჩევა რისკების მართვის სისტემაში არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

4. თემატური მიმოხილვის მსვლელობისას აღმოჩენილი რისკების შინაარსიდან და გარკვეული კომპონენტების ანგარიშგებაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენიდან გამომდინარე, სამსახური უფლებამოსილია დაიწყოს სრული მიმოხილვა.

5. სუბიექტის მიერ შედგენილი ანგარიშგება უნდა იყოს სრული, სწორი და სამართლიანი. ანგარიშგებაში სხვა დანარჩენ საკითხებზე/ფაქტორებზე, მითითების არარსებობა არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც სამსახურის თანხმობა ან რაიმე მინიშნება, რომ ეს საკითხები/ფაქტორები მოქმედ კანონმდებლობასთან ან/და კანონით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

### **მუხლი 7. მიმოხილვა განცხადების საფუძველზე**

1. განცხადების საფუძველზე მიმოხილვა შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) საზედამხედველო/მარეგულირებელი ორგანოს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს მომართვის საფუძველზე. სამსახური შესაძლოა ჩაერთოს საზედამხედველო/მარეგულირებელი ორგანოს, ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაწყებულ ანგარიშგების მიმოხილვის პროცესში;

ბ) სუბიექტის ან დაინტერესებულ პირთა კერძო/ერთობლივი დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

2. სამსახურის მიერ, მიმოხილვასთან დაკავშირებული განცხადება ჩაითვლება საფუძვლიან მომართვად, თუ მასში მითითებულია ანგარიშგებაში არსებული, სტანდარტებთან შეუსაბამობების შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია. სამსახური, განცხადების საფუძვლების სათანადო შესწავლის შემდგომ, იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებისა და მიმოხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სამსახურის გადაწყვეტილება ეცნობება მხარეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

### **მუხლი 8. დაინტერესებული პირის/სუბიექტის ჩართულობა მიმოხილვის პროცესში**

1. დაინტერესებული პირი/სუბიექტი ვალდებულია წარუდგინოს სამსახურს მიმოხილვის ფარგლებში მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში. პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის, ისე დასრულების შემდგომ.

2. დაინტერესებული პირი/სუბიექტი ან/და აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მხრიდან შესაძლო სამართალდარღვევის/ცდომილებების შესახებ ინფორმაციას სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი აწვდის სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ინფორმაციის საფუძველებზე დამატებითი წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

3. სუბიექტის სანქცირება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

### **მუხლი 9. მიმომხილველთა ჯგუფი**

1. მიმომხილვა ხორციელდება არანაკლებ ორი მიმომხილველისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით.

2. მიმომხილველს არ აქვს უფლება აწარმოოს მიმოხილვის პროცესი, თუ მიმოხილვის პროცესში გამოვლინდა მასსა და სუბიექტს, ან/და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს შორის არსებული კავშირი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიმოხილვის შედეგებზე.

3. სამსახური უზრუნველყოფს მიმომხილველების კვალიფიკაციის, ტექნიკური უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესაბამისობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

### **მუხლი 10. მიმომხილვის პროცესი**

1. სტანდარტებთან შესაბამისობის მიმომხილვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მიმომხილვის მიზნებისთვის ანგარიშგების შერჩევა და მიმომხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყება სუბიექტისთვის შესაძლო შეუსაბამობების შესახებ ახსნა-განმარტებების წარდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებული პირველადი წერილის გაგზავნის გზით;

ბ) სუბიექტის, ასევე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მხრიდან განხორციელებული უკუკავშირის შესწავლა/ანალიზი და საჭიროებისას დამატებითი ინფორმაციის მოძიება (მათ შორის, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის მიზნით, სამსახურმა შესაძლოა წარმართოს სუბიექტთან შეხვედრა ან/და გაგზავნოს დამაზუსტებელი წერილი);

გ) სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის სამსახურის უფროსის სახელზე მომზადება, რომელშიც აისახება მიმომხილვის შედეგები, კერძოდ სამართალდარღვევის არსებობის გამოვლენის ან სამართალდარღვევის არ არსებობის შესახებ გარემოებები;

დ) სამსახურის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

2. დაუშვებელია მიმომხილვის პროცესის მიმდინარეობისას სუბიექტის მხრიდან ანგარიშგების გათხოვა კორექტირების მიზნით.

3. მიმომხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. წარმოების ვადა შეჩერებულად ითვლება სუბიექტისთვის წერილის გაგზავნისა და მასთან დაკავშირებით პასუხის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადით. იმ შემთხვევაში თუ სუბიექტის მხრიდან განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება შესაბამისი პასუხის დაბრუნება, აღნიშნული ჩაითვლება თანხმობად მიგნებებზე და სამსახური მასთან დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის ურთიერთშეჯერების შედეგად მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

4. იმ შემთხვევაში თუ წარმოსადგენია დიდი რაოდენობის დოკუმენტაცია ან ვერ ხდება ინფორმაციის ოპერატიულად წარდგენა სამსახურისთვის, სამსახური უფლებამოსილია სუბიექტის თანხმობით, სუბიექტის ტერიტორიაზე/ადგილზე გაეცნოს მიმომხილვისთვის საჭირო დოკუმენტაციას და გააკეთოს ასლები, დალუქოს დედანი დოკუმენტები.

5. რისკის მართვისა და ანგარიშგების შერჩევის პროცესში მოცული უნდა იყოს წესის რეგულირებას დაქვემდებარებული ყველა სუბიექტი. რისკის მართვისა და ანგარიშგების

შერჩევის პროცესში, სამსახური უფლებამოსილია ჩართოს ექსპერტები, სპეციალისტები და სხვა სახელმწიფო უწყებები.

### **მუხლი 11. სუბიექტის მზადყოფნა**

1. თუ დაინტერესებული მხარის/სუბიექტის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. თუ სუბიექტს გააჩნია დამოუკიდებელი რეგისტრატორი და ხელმისაწვდომი არ არის ამონაწერი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდიდან, სუბიექტი ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მოთხოვნილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
2. სუბიექტი ვალდებულია წარადგინოს მინდობილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### **მუხლი 12. სუბიექტის ვალდებულებები**

1. სუბიექტი ვალდებულია წარადგინოს და განაახლოს სამსახურის მიერ მიმოხილვისას მოთხოვნილი, საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში.
2. სუბიექტი ვალდებულია დაიცვას მიმოხილვის პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, როგორც მიმოხილვის განხორციელებისას, ისე მის შემდეგ, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად.
3. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით არსებული ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სუბიექტთან ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. შიდა კონტროლის სისტემაზე და სამართლიანი ანგარიშგების მომზადებისათვის და წარდგენისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სუბიექტს ეკისრება. დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დროული და ხარისხიანი შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ დოკუმენტების შემდგენი და მათზე ხელის მომწერი პირები.
5. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შედგენა, მათში შესწორებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობისა და სუბიექტის მიერ შემუშავებული შესაბამისი პროცედურებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, რის შედეგადაც შეუძლებელი იქნება ამ დოკუმენტების სანდოობაში ეჭვის შეტანა.



6. სუბიექტი ვალდებულია სტანდარტებთან ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე გაცემულ პირველად წერილზე საპასუხო წერილი სამსახურს წარუდგინოს 10 კალენდარული დღის ვადაში.

### **მუხლი 13. სამსახურის ვალდებულებები**

1. სამსახური ვალდებულია მიმოხილვის პროცესი განახორციელოს ობიექტურად და მიუკერძოებლად, საქმის ირგვლივ არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.
2. სტანდარტებთან ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე უნდა გაიცეს პირველადი წერილი საწარმოს მისამართით.
3. სამართალდარღვევის გამოვლენასთან დაკავშირებული მოხსენებითი ბარათი დგება სუბიექტის მხრიდან ახსნა-განმარტებების შემცველი საპასუხო წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, ხოლო თუ სუბიექტის ახსნა-განმარტებების შემცველი საპასუხო წერილი არ იქნა სამსახურისთვის წარდგენილი წარმოების დაწყებიდან - 3 თვის ვადაში.
4. სამართალდარღვევის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული მოხსენებითი ბარათის გამოცემის შემდგომი 3 თვის ვადაში სამსახური გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო თუ სუბიექტის ახსნა-განმარტებების შემცველი საპასუხო წერილი არ იქნა სამსახურისთვის წარდგენილი სამსახური გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - წარმოების დაწყებიდან 3 თვის ვადაში.
5. კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას სამსახურს უფლება აქვს, სუბიექტთან/პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაციის მიზნით მატერიალური დოკუმენტის ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, ანგარიშგების ვებგვერდი ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)).

### **მუხლი 14. ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტთა ანგარიშგების მიმოხილვა**

1. კანონით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროს ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით სამსახური თანამშრომლობს საზედამხედველო, მარეგულირებელ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

2. კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

### **მუხლი 15. საწარმოსთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა**

სტანდარტებთან ანგარიშგების პორტალზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის შემდგომ, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

### **მუხლი 16. გასაჩივრების წესი**

სამსახურის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული დავა შესაძლებელია განიხილონ საბჭომ და სასამართლომ. საჩივრის ავტორს უფლება აქვს, დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს.

## განმარტებითი ბარათი

### „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესის შესახებ“

#### ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 14 ივნისს განხორციელებული ცვლილების (სარეგისტრაციო კოდი - 260000000.05.001.102279) თანახმად, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდგომ - კანონი) დაემატა მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტი, რომლის შესაბამისად, გამოქვეყნებული ანგარიშგებების ამ კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვას უზრუნველყოფს სამსახური თავის მიერ დადგენილი წესით.

აღნიშნულის სისრულეში მოყვანის მიზნებისთვის, სამსახურის მიერ შემუშავდა ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესის დადგენას.

აღსანიშნავია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა, კანონის საფუძველზე და ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით, 2020 წლიდან დაიწყო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობის დასადგენად. სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი მიზანია საქართველოს ბაზარზე არსებული საწარმოების ყოველწლიური, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა, რათა ანგარიშგების მომხმარებლებს (ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს) მიეწოდებოდეთ მაღალი ხარისხის ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელ პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

დანართი N1-ით დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესი“-ს მიზანია - საწარმოს მიერ გამოყენებული ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული პროცედურების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სამართლებრივი პროცედურის დადგენა ასევე, მიმოხილვის შედეგად ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ზრდისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ამაღლების ხელშეწყობა. საყურადღებოა, რომ მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილი არააუდიტირებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგების მიმართ, სამსახური არ განხორციელებს სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვას.

აღნიშნული წესი ასევე მოიცავს მიმოხილვას დაქვემდებარებული ანგარიშგებების და მიმოხილვის საფუძვლების შესახებ ნორმებს. საგულისხმოა, რომ სამსახური ასევე უფლებამოსილია მიმოხილვას დაუქვემდებაროს უკვე მიმოხილული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის მიერ კორექტირებული ფინანსური ანგარიშგება, განახლებული დოკუმენტის შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გამოსავლენად - რამდენად ეფექტური ღონისძიებები იქნა განხორციელებული ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

სამსახური ახორციელებს მიმოხილვას ან თავისი ინიციატივით, ან დასაბუთებული განცხადების საფუძველზე. საკუთარი ინიციატივით მიმოხილვისას, სამსახური რისკების მართვისთვის იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს ალტერნატიულად, ან კუმულაციურად:

ა) ბაზარზე ან/და სექტორში დიდი წილის მქონე სუბიექტები, რომელთა ფუნქციონირებაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე;

ბ) ანგარიშგებები, რომელთა აუდიტორული მომსახურების განხორციელებამდე ან მის შემდეგ, აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შეუწყდა/შეეზღუდა უფლებამოსილება (შესაბამის კატეგორიის საწარმოებთან მიმართებაში) ან/და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს გავლილი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ან/და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა სამსახურის ხედვით არ შეესაბამება სუბიექტის სიდიდეს და კომპლექსურობას.

გ) აუდიტორის მოსაზრების ტიპი;

დ) განმარტებითი შენიშვნების თვალსაჩინო სიმწირე;

ე) ანგარიშგების წარდგენა კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევით;

ვ) სხვადასხვა პერიოდზე მომზადებულ ანგარიშგებებს შორის შეუსაბამობები;

ზ) სექტორული შერჩევა რისკისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;

თ) უკვე მიმოხილული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის მიერ მომზადებული მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენა;

ი) მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილი ინდივიდუალური/კონსოლიდირებული აუდიტირებული ანგარიშგება.

სამსახური უფლებამოსილია მიმოხილვას დაქვემდებარებული ანგარიშგებების გამოვლენის პროცესში ჩართოს შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილი მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც პროცესში ჩართული იქნებიან ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.

გარდა ამისა, სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს „ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები და მიმოხილვის პრიორიტეტების შესახებ“ ანგარიშგების ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს. აღნიშნული დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს სუბიექტების (მათ შორის, საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების, რეგისტრირებული პარტნიორებისა და დამფუძნებლების) შესახებ იდენტიფიცირებულ ან

იდენტიფიცირებად ინფორმაციას. მითითებული დოკუმენტით ხდება იმ მიდგომებისა და პრიორიტეტების გამოვლენა, რომლებიც სამსახურს გააჩნია ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესში.

დანართი N1-ით დამტკიცებული წესი ასევე განასხვავებს მიმოხილვის ფარგლებს, რომლებიც შეიძლება იყოს თემატური და სრული მიმოხილვა. გასათვალისწინებელია, რომ თემატური მიმოხილვა შესაძლებელია განივრცოს სრული მიმოხილვით (შესაბამისი საფუძვლების არსებობისას). საყურადღებოა, რომ გარდა სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ფაქტორებისა, ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს სხვა შინაარსის საკითხები/ფაქტორები და მათზე მითითების არარსებობა არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც სამსახურის თანხმობა ან რაიმე მინიშნება, რომ ეს საკითხები/ფაქტორები მოქმედ კანონმდებლობასთან ან/და კანონით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

წესი ასევე არეგულირებს მიმოხილველთა ჯგუფის მიერ მიმოხილვის განხორციელების ჩარჩო პრინციპებს ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტის საკითხების გათვალისწინებით. გარდა ამისა, წესში დეტალურადაა გაწერილი მიმოხილვის პროცესის ეტაპები, რომელიც იწყება წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული პირველადი საკომუნიკაციო წერილით და სრულდება სამსახურის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით. მიმოხილვის პროცესის მიმდინარეობისას, დაუშვებელია ანგარიშგების გათხოვა კორექტირების მიზნით.

მიმოხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება 6 თვით. აღნიშნული პროცესში, სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ წესებით.

პროცესის სამართლიანად წარმართვის მიზნებისთვის რისკის მართვისა და ფინანსური ანგარიშგების შერჩევის პროცესში მოცული უნდა იყოს წესის რეგულირებას დაქვემდებარებული ყველა სუბიექტი. რისკის მართვისა და ფინანსური ანგარიშგების შერჩევის პროცესში, სამსახური უფლებამოსილია ჩართოს ექსპერტები, სპეციალისტები და სხვა სახელმწიფო უწყებები. მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

წესის თანახმად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების პორტალზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის შემდგომ, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

სახელმწიფოსათვის აღნიშნული პროექტი არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას და ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

პროექტის ავტორია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

